

ინფორმაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2001 წლის 1 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ე.წ. სამხრეთ ოსეთში ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარების შესახებ (დებუტატი ა. მათიაშვილი);
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფხალაძე);
3. საქართველოს მოსახლეობის სოციალური რეაბილიტაციის პრინციპები (მომხსენებელი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პუბლიცისტი-რული და სოციალური საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე მ. საყვარელიძე);
4. სხვადასხვა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა საქართველოს მოსახლეობა. არსებული ვითარება შექმნის იარაღის ძალით მოსულმა უკანონო-რეაქციულმა ძალებმა, რომელთაც უცხო ძალის გამოყენებით დაამხეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, გააუქმეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ლიკვიდაცია მოახდინეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტისა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებისა.

რესპუბლიკაში დღეს შექმნილი კრიმინოგენული სიტუაცია, ქაოსი, ანარქია, უმუშევრობა, გასხვისებული ტერიტორიები, სოციალური პრობლემები შედეგია საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისა და კანონიერი ხელისუფლების წინაშე 1991-92-93 წლებში ჩადენილი დანაშაულისა.

დანაშაულებრივი დაჯგუფებები და ის პარტიები, რომლებიც წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ უკანონო ხელისუფლებასთან, საქართველოს მოსახლეობას სთავაზობენ რიგგარეშე არჩევნებს (ე.წ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო), რომელთა მიზანია მორიგი უკანონო არჩევნებით კვლავ ხელისუფლების დაბრუნება; მაგალითი სახეზეა 2001 წლის 28 ოქტომბრის სექტაკლი: „გადაყენებულმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ“ 10 დღეში დაიბრუნა „დაკარგული“ საერძლები, რასაც მხარი დაუჭირა პოლიტიკურად „დაპირისპირებულმა“ ფრაქციებმა. მიზანი ნათელია - იგივე ძალები უკანონო გზით ისევ საქართველოს ხელისუფლების სათავეში.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შეახსენებს საქართველოს მოსახლეობას, მის ამომრჩევლებს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიული წყვეტა არ კონია; იგი დღესაც მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავი დაშლილად არ გამოეცხადება; იგი დღესაც განაგრძობს მუშაობას, ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიები.
3. არცერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია იურიდიული უფლებამოსილება კანონიერი ხელისუფლების გაუქმებისა.
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არის ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, რომელიც დანიშნავს კანონიერ არჩევნებს.
5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აფასებს ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას და აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას საქართველოს მოსახლეობის წინაშე, ანგარიშვალდებულია დაიცვას მათი კონსტიტუციური უფლებები, წინ აღუდგეს მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, რომელიც მიზნად ისახავს მმართველობის დღევანდელი სისტემის დროის გახანგრძლივებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარების გარეშე ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ფხალაძე
2001.01.12

17 დეკემბერი - ხსენება წმიდისა ქალწულმონათისა ბარბარისი

(ბარბარობა)


ქალწულებითა განმშვენებულო,
წამებითა გაბრწყინებულო,
სასწაულთა მოქმედო, სენთა და
ბუგრთა მკურნალო, დიღო ქალ-
წულმონათეო ბარბარე, მეოხ გვეყავ
ჩვენ ცოდვილთა. ამინ!



ბიორგი

კარვალბვილი:
ჩვენი ბრძოლა
ბოლომდე
გაგრძელდება


გვ. 4



ირაკლი შონია

«რკინის
ქაბების»
დრო
ნავიდა!

გვ. 4



აბაგი მათიაშვილი

სამუბლოდან შორს,
სამუბლოზე ფიქრით

გვ. 5

მანუან კვიციანი

„გვარს ვერ
გაგიხელო,
მრისხენია...“

გვ. 7

ნუზარ მანაბაძე

„ღენს მაინს
როგორ
ვალაუენ?“

გვ. 7

ნათია მუხარბაძე

ურიკა -
პენსიის ნასვლად

გვ. 7

ქონტრასტაჰი



შიშვილობენ მშვიდ-მწყურვალნი,
ლუკა-პურს ქეპენ,
სასოფარკვეთილნი
შველას ითხოვენ

უზენაესი საბჭო

გაზეთი „ქუჩის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ თბილისში, 17 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომა, რომლის დღის წესრიგი იყო:
1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის განცხადება (დეკლარაცია) შ. აბუნიძის).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის განცხადება

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში დაიწყო ხელისუფლების საწინააღმდეგო შეარაღებული გამოსვლა, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს სახელმწიფო გადატრიალებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის დაშლითა და მათი დევნილობით დასრულდა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ანტი-სახელმწიფოებრივი აქტმა ქვეყანა აკცინა ნორმალური განვითარების გზას და დღეს, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრული რეგრესი აღინიშნება. ამ ფაქტს ეროვნული ხელისუფლების მოწინააღმდეგეების უმრავლესობაც კი აღარ უარყოფს.

სამწუხაროდ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფერო ღრმა კრიზისშია. დარღვეულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის ეკონომიკა და ფინანსები კატასტროფულ მდგომარეობაშია, საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ ფენებად დაყოფილია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა აფეთქების მიჯნაზეა მისული. ქვეყნის სიღვიძრე და მმართველობის სადავეები ცალკეული კორუპციული კლანების ხელშია მოქცეული, მოსახლეობის უმრავლესობა კი სიღარიბის ზღვარს ქვევით დაფარს სულს. მძიმე ვარჯის კორუფცია, სრულად ნივლიერებულია ეროვნული იდეალები და ფასეულობები. ყველაზე საგანგაშო კი ისაა, რომ დეზინტეგრირებულია სახელმწიფოს მართვის მექანიზმი და სახეზეა ღრმა სახელისუფლებო კრიზისი, რაც კიდევ უფრო აშკარებს ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს.

მთელი შეურეგდ არსებულ ვითარებას დადგა დრო, როდესაც უპირველესი ამოცანა არის ქვეყნისა და ერის ხსნა. ამ ამოცანის წინაშე უკანა პლანზე იწევს და უზნიშნელოდ ჩანს პოლიტიკური დაპირისპირებები, ინტრიგები, წყენები, სახელისუფლებო თუ საზოგადოებრივი თამაშები. ერთადერთი გამოსავალი ხალხის ძალისხმევით გაერთიანებაში, მისი ქვეყნის აღმშენებლობისკენ წარმართვაშია. ეს კი თავისთავად გულისხმობს სახელმწიფო მოწყობისა და ხელისუფლების რადიკალურ სტრუქტურულ და საკადრო ცვლილებებს.

ხალხის ძალისხმევის გაერთიანება, პირველ რიგში, ერისა და საზოგადოების ინტეგრაციას გულისხმობს ამისათვის აუცილებელია მისი დამანგრეველი მიზეზების მოხსნა. მათ შორის ძირითადი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან და ეროვნულ ხელისუფლებასთან დაკავშირებული იმ უდავო ფაქტების აღიარებაა, რომელთა შეფასებაც არ სჭირდება ისტორიულ პერსპექტივას, ხოლო მათი გაყალბება იქცა საზოგადოებრივი დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან ნათლად უნდა გაცხადდეს, რომ 1991-92 წლების დეკემბერი-იანვრის მოვლენები იყო შეიარაღებული გზით განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება და არა „დემოკრატიული რევოლუცია“. ის ინსპირირებულ და განხორციელებულ იქნა ქვეყნის გარეთ არსებული მტრული ძალების უშუალო ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, რამაც ხელყო საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებსა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სსრკ-ს დაშლასა და პოსტსაბჭოური დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნაში. ამ ფაქტის გამოცხადების და პირდაპირ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პატივსაცემად კაბიტოლოზე აშშ-ს დროშის აღმართვა, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ უშუალოდ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სამხედრო მოქმედებების დროს, 1991 წლის 25 დეკემბრიდან - 1992 წლის 6 იანვრამდე, საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო 28 სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ეროვნული ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საფუძვლად დაედო საქართველოს გაეროში, ევროსაბჭოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებას, მის ჩართვას საერთაშორისო ურთიერთობებში.

აღიარებულ უნდა იქნას, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლებისათვის „პროვინციული ფაშიზმის“ იარაღის მიკერება მხოლოდ მსოფლიო საზოგადოების თვალში მათი დისკრედიტაციისა და სახელმწიფო გადატრიალების გამართლების მიზანს ისახავდა. ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს არასდროს ჰქონიათ სამოქმედო პრინციპად ლიბერალური - „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“. პირიქით, ყოველგვარი ხელშეწყობით სარგებლობდნენ ეთნიკური ნიშნით შექმნილი სათიესტომოები (ებრაული, სომხური თუ სხვ.). არავითარი შევიწროება ან დევნა არ განუცდიათ ეროვნული უმცირესობების, განსხვავებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს, საქართველოში მცხოვრებ რუს და რუსულენოვან მოსახლეობას. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმშიც და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა, რომელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობასა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევას.

გრძობდა რა, საყოველთაო, მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობულ დამარცხებას, კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს შექმნა ეროვნული პრობლემა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც საბჭოთა სექსუალური ურთიერთობების მიერ იყო პროვოცირებული და მემკვიდრეობით ეროვნულ ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, ქართულ-ოსური დაპირისპირება არ იყო ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი. მის მიერ კანონიერების აღდგენის მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევა კი, ცრუ პროპაგანდის შედეგად, „ოსების გენოციდად“ მიიჩნეოდა.

აღიარებულ უნდა იქნას, რომ ეროვნული ხელისუფლების დროს, აფხაზეთში, რაიმე სერიოზული პრობლემა არ ყოფილა. ეროვნული ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა საარჩევნო სისტემამ მოხსნა ქართულ-აფხაზეთი დაპირისპირების საფუძველი, რის შედეგადაც არჩეულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. აფხაზეთის დღევანდელი პრობლემების წარმოშობა კი, პირველ რიგში, ე.წ. „სამხედრო საბჭოს“ მიერ საქართვე-

- 2. საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვა (დეკლარაცია დ. ტაბიძე).
3. სხვადასხვა.
გთავაზობთ განცხადების ტექსტს.

ლოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გაუქმებამ და 1921 წლის კონსტიტუციის „აღდგენამ“ გამოიწვია. ამ უკანონო აქტით აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს საშუალება მიეცა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და განდგომოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, რასაც, შემდგომში ზედ დაერთო ფაქტობრივი ხელისუფლების სხვა უმძიმესი შეცდომებიც.

ასევე აღიარებულ უნდა იქნას, რომ სწორედ ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ გარდამავალ პერიოდში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიღვა ეკონომიკის რეფორმირების, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ქვეყნის დემოკრატიზაციის მიმართულებით. ამის დადასტურებაა, თუნდაც, კანონი პრესის შესახებ, რომელიც ეროვნული ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული და დღესაც „ძალაშია“.

გადატრიალების პროცესში, სამხედრო მოქმედებების მსვლელობის დროს, ეროვნული ხელისუფლებისა და უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა ის, რომ ბრძოლაში არ ჩართო საქართველოს მოსახლეობა, რითაც თავიდან იქნა აცილებული სამოქალაქო ომი. იგივე შეიძლება ითქვას იმ სამხედრო დაპირისპირებაზე, რომელიც ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ პროვოცირებულ იქნა დასავლეთ საქართველოში, 1993 წლის შემოდგომაზე. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა პრეზიდენტის დაბრუნების ორი ძირითადი მიზეზი - კანონიერი ხელისუფლების აღდგენა და შესაბამისად აფხაზეთის პრობლემის მოგვარება - პროვოცირებულ იქნა შეიარაღებული შეტაკებები, რომლებშიც ჩაერთნენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები. კერძოდ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დანაყოფები, შავი ზღვის ფლოტი ადმირალ ბალტინის ხელმძღვანელობით, როსტოვის სკვადრის წევრების რაზმი, ძერჟინსკის სახელობის დივიზია, 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი და სხვ. ყოველივე ამის გამო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, გეგმავდა მხოლოდ შეაჩერა სამხედრო მოქმედებები, რითაც თავიდან იქნა აცილებული შემდგომი სისხლისღვრა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნება წარმომადგენდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მცდელობას, რისი სამართლებრივი და მორალური საფუძველიც და უფლებაც მას გააჩნდა, რის გამოც ფაქტობრივად ხელისუფლებამ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ფიზიკურად განადგურა.

ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების მთავარი პოლიტიკური პარტიების, მოსახლეობის ბრძოლა იყო და არის მშვიდობიანი, პოლიტიკური ხასიათის, რაზეც ფაქტობრივი ხელისუფლებამ რეაგირებდა უკიდურესად მწვავედ, ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც სცილდებიან საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების, მათი მხარდამჭერების უკანონო დაპატიმრება, წაგდება, დარბევა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, სამსახურიდან დათხოვნა და მრავალი სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსგავს კა-

ნონდარღვევებს დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. თითქმის ყველა ეს შემთხვევა დაფიქსირებულია ადამიანის უფლებების დამცავი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ასახულია შესაბამის ანგარიშებსა და სხვა დოკუმენტებში. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებს არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება არც საქართველოს და არც საერთაშორისო კომპეტენტური ორგანოების მხრიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საკითხში სათანადო ღონისძიებები ვერ აღმოჩნდა ვერც საქართველოს თავისუფალი მასმედია, რითაც აშკარად ორმაგი სტანდარტების გაფლანგვის ქვეშ მოექცა.

დღეს, როდესაც აშკარა გახდა ათი წლის წინანდელი მოვლენების დამანგრეველი ხასიათი, რასაც არავინ უარყოფს, დამოკიდებულება აღნიშნული მოვლენებისადმი თანდათანობით იცვლება, მაგრამ, ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ახდენენ იმის იგნორირებას, რომ ეროვნული ხელისუფლება არსებობს და თავისი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში არა მხოლოდ რეაგირებს ქვეყანაში შექმნილ პრობლემებზე არამედ მათი გადაწყვეტის გზების ძიებასაც ცდილობს. თვით მისი არსებობის კანონიერების საფუძველი ნათელია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არასოდეს არ გამოუცხადებია თავი დაშლილად, მიუხედავად ხანმოკლე შეფერხებებისა არ შეუწყვეტია საქმიანობა და განაგრძობს არსებობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მისი მოქმედება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაუქმებულ იქნა ე.წ. „სამხედრო საბჭოს“ მიერ, რომელიც ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან თვით იქნა აღიარებული არალეგიტიმურ ორგანოდ. თავად ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს აეკვებთ „პარლამენტის“ ლეგიტიმურობის საკითხი. თუ რეალურად არც მისი სამართლებრივი კვალი საკითხია ცნობილი, რომ არაფერი ვთქვათ საარჩევნო კანონის დარღვევებზე და გაყალბებებზე რომლებიც თან სდევდა ამ ორგანოს ყველა არჩევნებს, დარღვეულია ლეგიტიმაციის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველიც - არჩევნების საყოველთაობა. ამ ორგანოს არცერთ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ადამიანთა ნაწევარსაც. სწორედ ესაა ფაქტობრივი ხელისუფლების დღევანდელი პრობლემების საფუძველი. ესაა მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის უფსკრულია, როგორც მისი მრავალი წარმომადგენელი აცხადებს - ხელისუფლებისადმი ნდობის მანდატი ამოწურულია.

ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად მიუთითებენ აღნიშნულ ვითარებაზე და გამოსავალზეც. ქვეყნის დღევანდელ სახელისუფლებო კრიზისის შესაძლებლობაზე და მისი თავიდან აცილების გზებზე ოფიციალურად მიუთითებელი იქნა ჯერ კიდევ 2000 წლის აპრილში, როდესაც გამოქვეყნდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრავალი მაგიდის მემორანდუმი. მასზე ხელი მოაწერა 50-მდე პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ. აღნიშნულ საკითხს სპეციალურად მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 2000 წლის 23 დეკემბრის სხდომა, რომელზეც მიღებული

83.2

დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია აღიჭურვა სათანადო უფლებამოსილებით და დაეკავა „მრეწველი მფლობელი“ მემორანდუმისა და მის საფუძველზე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების რეალიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთნაირად და ფაქტობრივად ხელისუფლებების ურთიერთმხარეობის ზემოთ დასმული საკითხი, პირველ რიგში, პოლიტიკური საკითხია და სამართლებრივი ნორმების მიხედვით მხოლოდ დაპირისპირების ვალდებულება, საზოგადოებაში შეზღუდვა განხორციელების შეტანის გამოიწვევს უფრო მარტივად და გამართლებულად იქნება კეთილი ნების გამოჩენა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმათი მხრიდან, ვისაც ამ გადაწყვეტილებების მიღება ხელსწილდება. ფაქტია, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ნაბიჯი იქნება საზოგადოების გამოთანხმებისა, რაც აუცილებელია ქვეყნის კრიზისული

მდგომარეობიდან გამოსავლენად. ამდენ დროს, ეს ნაბიჯი საფუძველი გახდება სახელისუფლებო პრობლემების გადაწყვეტილებისათვის, იმ ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტების მიღებისათვის, რომლებიც დაარსებული იქნება ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ტერიტორიულ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, საყოველთაო არჩევნების დანიშნებას, ჩატარებას და ა.შ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ქვეყნის ინტერესებით დღევანდელი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა არ არის ჩვენი კმაყოფილების საფუძველი. პირველი, ჩვენთვის დასაფიქრებელია ის მხარე სიტუაცია, რომელიც ქვეყანაში შექმნილია, ვინაიდან არასდროს არ გვიხვედრებოდა პრინციპით „რაც უარესია მდგომარეობა, მით უკეთესია“. პროტესტის ის ფორმები, რომელიც ჩვენ მიემართება, მხოლოდ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისაკენ იყო მიმართული და არა დესტრუქციული და დესტაბილიზაციისაკენ.

განვიხილოთ 10 წლის მანძილზე, ფაქტობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მრავალი უკანონო და უსამართლო აქტი იქნა ჩადენილი, მაგრამ ღრმად გეუბნები, რომ ციხეების განსჯა სცილდება ჩვენს და საერთოდ აღმართის კომპეტენციას, მიტოვება ყოველი კონკრეტული პარტიების გამოხატულება, დანაშაულებზე პასუხისმგებლობა სათანადო, კანონიერი ორგანიზაციის კომპეტენცია.

საქართველოს ძალუბს იცის არა მხოლოდ გასსადგენებისა და ნაციონალისტების ქვეყანა, არა მხოლოდ აბრუნების გზის მონაკვეთი, არა მხოლოდ სატრანსპორტო დერეფანი ადმინისტრაციისა და დასახელების შორის, არამედ ხიდი ადმინისტრაციულ და დასახელებულ ცივილიზაციებს შორის გვიყვარავთუდა და ისტორიულად საქართველო ორი ცივილიზაციის - ქრისტიანული და მუსულმანური საზღვარზე მდებარეობს და დღეს, როდესაც მსოფლიო ცივილიზაციების თმის საშინაობის წინაშე დგას, საქართველოს განსაკუთრებული ისტორიული როლის შესრულება შეუძლია, ვინაი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დას ქართულმა ცივილიზაციამ თვით განიცადა ორივეს გიგანტი და ორგანიზაციულ შეთხრობა ისინი.

საქართველო და ქართველები ყოველთვის კაცების ზღვრის გამოხატულებულ ძალს წარმოადგენენ მიუხედავად დღევანდელი გარემოს ინსტიტუციური კონფლიქტებისა, მას სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით ძალია შესწევს უსრულელოდ კაცების პრობლემების გადაწყვეტა, რევიორში შევიდომის დახმარება და მისი სტრატეგიული განვითარება. ასეთი იყო საქართველოს ისტორიული როლი და ასეთად რჩება დღესაც.

იმდენ გამოთქვებში, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა, საქართველოს მეგობარი თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, სუბარბიტრულად გამოვიდნენ რევიორების ხელმძღვანელები და საქართველოს მთავალი დაინტერესებული ყველა პირი გაეგვიტოვებოდა გამოთქმულ მოსაზრებებს და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

მ. პრინციპ-გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

შიდა ქართლში ე.წ. სახსრით ოსეთში ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში დიდი პუნქციონირების, ბატონი ზვიად გამსახურდიას მოხელის დღიდან განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდა ქვეყნის მოქალაქეების უფლებების და კეთილსაქმური საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით და სამართლებრივი ნორმებისა გაარანტირებული იყო საქართველოში მცხოვრები ყველა ერთნაირი უმცირესობის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონისა და ურბანების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 34-ე).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ 1990 წლის 21 ნოემბრის სესიოზე განაცხადა, რომ იგი განუხრავად იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად ადვანტირებს თავის განცხადებებებს, რომ „იგი კვლავაც დაივებს საქართველოში მცხოვრები ყველა ერთნაირი უმცირესობის უფლებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად“.

1990 წლის 9 დეკემბრის კრების მიმოტევაში და მხარდაჭერით ოსმა სუბარბიტრულ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უფლებდებულოდ გააუქმეს ე.წ. სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქი და გამოაცხადა ე.წ. სახსრით ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში აღნიშნულია, რომ სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქში სუბარბიტრული ძალაში ცდილობენ ე.წ. „სახსრით ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც ამჟამად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 14-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქი.
2. დადგინდეს საქართველოს რესპუბლიკის

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სუბარბიტრული ძალის მიერ „სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქის“ „სახსრით ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკად“ გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნას ბათილად და თირიდავილი ძალის არმქონედ ე.წ. „სახსრით ოსეთის საბჭო



1991 წლის 23 მარტს დასა დასეგმი ზვიად გამსახურდიასა და შორის უკანის მუქედირისა ხელი მოეწერა ერთობლივ სამთაური ოქმი, რომელშიც რუსეთის მხრივ აღიარებულია სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების კანონიერება; კრისი, ოქმი ასე იწყება: „გონივრად სახსრით ოსეთის ავტონომიური ოლქის რევიორში უთარგმნის სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ“.

თა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

1991 წლის 23 მარტს დასა დასეგმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. გამსახურდიასა და რუსეთის დედაქალაქის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მარტს ბ. ელინის შორის ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შიდა ქართლი - ე.წ. სახსრით ოსეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად 1991 წლის მაისში სსრკ-ის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით შიდა ქართლის - ე.წ. სახსრით ოსეთის საკითხების გადაწყვეტა საქართველოს ხელისუფლების საშინაო

საქმედ გამოცხადდა.

1991 წლის 31 მარტის საერთაშორისო საბჭო რევიორში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ცნობდა რაიონში მხარი დაეჭირა ამომრჩეველი საერთო რაოდენობის 64,3%-მა. 1991 წლის 28 მაისს საქართველოს რესპუბლიკის საბჭო აღიარებდა არჩევნების შიდა ქარ-

სტაბილიზაციის ამ რევიორში“.

1992 წლის 18 მარტს ქ. გროზნოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ დაადგინა, რომ „...ყველა აქტი, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“.

აღნიშნულ სესიოზე ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანომ დაადგინა „ბათილად ჩაითვალოს ე.წ. სახსრით ოსეთის რესპუბლიკაში 1991 წლის 19 დეკემბრის „საბჭოთა რესპუბლიკის“ რევიორში შედეგები“.

საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბრის თანხის სახელმწიფო-საქმელო გადატრიალების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უფლებდებულოდ ე.წ. სახსრით ოსეთში ჩატარდა „სახსრით ოსეთის“ და „სახსრით ოსეთის“ არჩევნები. ასევე უკანონო იყო 2001 წლის 18 ნოემბრის ე.წ. სახსრით ოსეთის რესპუბლიკის „არჩევნების“ არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღებნენ რუსეთის მოქალაქეები.

ანტიკონსტიტუციური და ანტისახელმწიფოებრივ საფუძველზე ხუნტის თანამობით და მხარდაჭერით შეკონსტიტუციული ე.წ. სახსრით ოსეთის რესპუბლიკის არსებობა წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრულ უფლებდებულოდ, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, გვირგვინ დეკლარაციის, ეუთოს ექნის 1989 წლის, კომენჰაგენის 1990 წლის თანხობის, ეუთოს მოსკოვის 1991 წლის კონფერენციის, პელსინის 1992 წლის ეუთოს დეკლარაციისა და სხვა დოკუმენტების იგნორირებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ბათილად იქნას ცნობილი 1991-92 წლების სახელმწიფო-საქმელო გადატრიალების შემდეგ ე.წ. სახსრით ოსეთის რესპუბლიკაში ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგები.
2. ცნობის გვირგვინ, ეუთოს, ევროსაბჭოს, მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებს, რომ სახსრით ოსეთის რესპუბლიკა და აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული ე.წ. არჩევნები ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. უზენაესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. უზენაესი

2001 წლის 1 დეკემბერი

33. 4

პირველ სართულზე მინები ჩაღწეა, ლამით კი გაზონებს ცეცხლი წაუკიდეს. ამ ფაქტზე არავის მოუხდენია რეაგირება. ასე გაგრძელდა მეორე დღემდე, სანამ არ გვაუწყეს, რომ „რკინის კაცი“ ნაგავსაყრელზე მოისროლეს და ჯართადაც ალარ გამოდგებოდა.

მიშა სააკაშვილს გამარჯვებული იერი ეწერა სახეზე და ვინც ნახავდა მის მგზნებარე პათოსით გამსჭვალულ გამოსვლას, ყველა გაიფიქრებდა: „ამ კაცმა ძველ მიტინგებს ხომ არ უყურა და საქართველოს პრეზიდენტისაგან ხომ არ გადაიღო გამოსვლის მანერები და ყესტი-



მიშა სააკაშვილს კვლავ მფობრებია

კულაციოა?“ ზანაზანა ანტონიანის კლანმა სანადელს მიაღწია, მოციცილეს არასასურველი პირები, მაგრამ მათ დაავინყდათ თუ რას ჰპირდებოდნენ და რა ლოზუნგებით გამოიყვანეს ქუჩაში ხალხი. მათ დაავინყდათ, რომ შეგადრნაძე კვლავ სავარძელში ზის და არ-

ისტორიის გაკვთილება

როგორც ცნობილია, ირანის სისხლიანმა მბრძანებელმა შაჰ-აბას პირველმა 1614-1616 წლებში ქართლ-კახეთში ოთხგზის ლაშქრობა მოაწყო. მისი მიზანი საქართველოს ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევა იყო. თუმცა შაჰ-აბასმა ვერც ქართლი დაიმორჩილა და ვერც კახეთი, მაგრამ ორივე მათგანს უდიდესი უბედურება დაატეხა თავს. ყიზილბაშუმმა იავარკყვეს, გაძარცვეს და გააუბედურეს ყველაფრით ხალხს, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთი, ათასობით ქართველი კი შორეული ირანის გზას გაუყვნეს.

განსაკუთრებით შემაზრზენი აღმოჩნდა კახეთისათვის პირისისხლიანი შაჰ-აბასის ლაშქრობა 1616 წლის გაზაფხულზე, როცა ხმა დაირხა ირანის მბრძანებელი მთელი კახეთის აყრა-გადასახლებაში აპირებდნენ, აღშფოთებას და შეძრწუნებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდმა თუ პატარამ იარაღს მოჰკიდა ხელი. უთანასწორო ბრძოლაში ასი ათასზე მეტი ქართველი მტერს შეაკვდა, 150 ათასზე მეტი ყიზილბაშუმმა იგდეს ტყვედ. მხოლოდ კახეთის მოსახლეობის ერთი მესამედი გადაურჩა შაჰის მრისხანე განაჩენს - მიუვალ ადგილებში გაიხიზნა.

ამ უდიდესი უბედურებით გულმოკლული მემკვიდრე ნაღვლიანად წერდა: „ესოდენი რისხვა ლეთისა მოინია ცოდვათა ჩვენათვის კახეთსა ზედა, რომელ აროდეს ყოფილ არს და აღხოცნა პირითა მახვილისათა ყოველნი ქვეყანანი მთისანი, ერწო, თიანეთი, პირი არაგვისა, ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე, მარტყოფი, უჯარამა, საგარეჯო, ჩერქეზნი დიდითგან მცირემდე და არავინ გაწერასტავან მათთა თვინიერ მცირე კაცი მარტყოფისა“ (პარიზის ქრონიკა, თბ., 1903, გვ. 39).

ასევე შეძრწუნებული ავგინერს კახეთის ამ ენით აღწერულ უბედურებას დიდი აკაკი: „მრისხანებით აღტაცებული შაჰ-აბასი ცეცხლით და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო: ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შეძალდა. ვინც-კი მთაში ვერ გაასწრო და მთაში გაუხიზნავი დარჩა - დაიღუპა. სიბრალული აღარსად იყო და სისხლი მდინარეებს

სად წასვლას არ აპირებს. როდესაც რამდენიმე „გულმზურვალე“ ორატორმა მომიტინგეებს განუცხადა, უკვე გავიმარჯვეთ და შეგიძლიათ სახლებში წახვიდეთო, ამას შესაფერისი რეპლიკებიც მოჰყვა (ალარ დაეკონკრეტებ). სიტუაციას ისინი ვეღარ გააკონტროლებდნენ და შესაძ-

«რკინის კაცების» დრო წავიდა!

ლებელი იყო მათთვის მიუღებელი უმართავი პროცესები დაწყებულიყო. ასევე წამებიათ იქნებოდა ძალისმიერი გზით აღეკვეთათ მიტინგი. ამიტომაც პროვოკაციის მიზნით, რომ შემდეგ განეცხადებინათ - ალარ არის სტუდენტების მიტინგიო! „მედრონი“ კვლავ წამოატივტივეს და სცადეს სამიტინგო ორგანიზატორთა გადახადებინათ. მაგრამ მათ ლიდერს, ისტორიკოსს ერის იუდად შესულ პიროვნებას აღშფოთებული საზოგადოება დახვდა, და მანაც მის მიმართ ამხედრებული ათასობით ადამიანი მეტეორის სიჩქარით დატოვა. სხვა რაღა უნდა ექნათ „რევოლუციონერებს“? გამოსავალიც მოიძებნა „ეროვნულ ძალთა გაერთიანებაში“ მყოფი „ნამებული“ ადამიანები, ანუ ორმოს ხალხი - ძიძიგურბურჭულაძის დუეტი. ტრიბუნას აგრეთვე „ამშვენებად“ ირაკლი წერეთელი, მიტინგების ნოსტალგიით შეპყრობილი პიროვნება. ისე, ვის ალარ ნახავდით აქ, გაერთიანების მოწოდებით აჯაფანდალივით არეულიყო საპარლამენტო და არასაპარლამენტო ფრაქციები, პოზიცია თუ ოპოზიცია, მენინაძე კომპოზიციები და ნორჩი ლენინელები, მწვანეები თუ ნიითლები. მოკლედ, მათი დანახვა ერთობ საინტერესო იყო. ერთმანეთთან ვითომ დაპირისპირებული ძალები გაიშფოვნენ და კიდევ ერთხელ ჩავარდნენ თამაშში, საზოგადოების


წინაშე წარსდგნენ როგორც მოინტრიგანო, გაქნილი და თაღლითი პოლიტიკოსები. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ბოლო დღეებში გაგრძელებულ მიტინგებს „რუსთაფი-2“-მა მითი „დაუფასა“ ხალხს თანადგომა, რომ ბოიკოტი გამოუცხადა და პლატფორმაზე ხელები დაიბანა. შეურაცხყოფილად განაცხადა დიქტორმა „კუ-

რიერში“, რომ: თითქმის მიტინგი დაიშალა, ხოლო სტუდენტებმა გამარჯვება კონცერტით აღნიშნეს ვაკის პარკში.

რამდენიმე დღის შემდეგ მიტინგი მართლაც დაიშალა. კიდევ ერთხელ მოტყუვდა სტუდენტობაც და მთელი საზოგადოებაც. ხელში შეგვრჩა კვლავ „უბრებელი, დიდი პოლიტიკოსი“ და უცვლელი პოლიტიკური რეჟიმი.

რაც შეეხება შინაგარეობის „რკინის კაცს“, მისი სახელი მასმედიაში და პოლიტიკურ წრეებში ასე აუღერდა: თარგამაძე, თარგამაძე, თარგამაძე, თარგამაძის, თარგამაძით, თარგამაძედ, თარგამაძეც!

ბოლოს კი უკრეს თავი იქ, „სადაც ჯერ არს“. ნათქვამია: „სადაც ხარები ალარ არიან“-ბაგა ცარიელიაო“ და სწორედაც ასე ცარიელდება დღეს პუტჩისტების პოლიტიკური ყულაბა უმოტყველო მინისტრებისაგან და ატაშე-ელჩებისაგან. ხოლო „დიდი პოლიტიკოსის“ გარშემო უკვე მრავალი წელია, რაც ადამიანთა ჩონჩხები და ძვლები



ახალგაზრდობა ასეთი ფორმით გამოსატა დაიპოვებულა

ტივიტივიებენ. განსაკუთრებით ერთი პიროვნება მყავს მხედველობაში. ტყუილად არ მივუსამძიმრე (ალბათ, მკითხველი მიხვდება), ისიც ხომ „რკინის კაცის“ ამქარში ბრძანდებოდა. თვითდაჯერებულს რატომღაც ეგონა, რომ მარადიულად იფრენდა მწვერვალებზე და დაბლა, წუმბეში არასოდეს ჩავარდებოდა (კაცი, დიდ პოლიტიკურ სავარძლებზე ფიქრობდა და დღეს საცოდავი არსება შეიქმნა“, რომელსაც ფართოდ გაღებულ ციხის კარები ელოდება. ციხე კი „დიდი სასჯავროა“, სადც დამსახურებულად მიავებენ პატივს, ვინ რისი ღირსიც არის. ესეც ამ სუბტილტზე დატრიკებული ბედის ირონია.

«მათ რიგებში მივსული»

ბატონი გიორგი ასეველიანი ის პიროვნებაა, რომელსაც ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირა ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უამრავი თაობა აღზარდა, დღეს კი ჩვეულებრივი პენსიონერია, არაფერი აბაღია და მისი ყოფნა არავის აინტერესებს.

დღესათვის, საქართველოში შექმნილია მძიმე კრიზისული მდგომარეობა, რაც გამოიხატება ქვეყანაში გამეფებული კორუფციით, დანგრეული ეკონომიკით, უმუშევრობით, თვითმკვლელობის სელფსტიმით და პენსიების, ქვეყნის უდიდესი საგარეო ვალით, ადამიანთა უფლებების შელახვით. ირგვლივ ყველა საუბრობს საქართველოს დაკარგულ კუთხეებზე, უპატრონოდ დარჩენილ ავადმყოფებზე, მათხივარი ბავშვების ცრემლიან თვალებზე წერტილმან, მაგრამ არსებობსათვის აუცილებელ პრობლემებზე თუცა, - ხელი ჩაქნია, - მხოლოდ საუბრობენ და მეტი არაფერი.

სავალალოა, რომ უსასრობა და სასოწარკვეთა, შიმშილი და გოდება, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი მეგზური გასდა. მომავლის იმედდაკარგული ხალხი უამრავი პრობლემის წინაშე დგას, სასწაულის ელის და ამ სასწაულის ამოღებულ სიცოცხლეს შეუმჩნეველად ქრება ამთავრებენ ცხოვრებას და არაფერი რჩებათ მოსაგონრად მწარე რეალობის გარდა.

ან კი როგორი უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც მმართველობის სათავეები ნაცნობობით, ქრამით უჭირავთ. როგორ გაიგებს ყოველდღიური ცხოვრების საშინელებას ისეთი ადამიანი, რომელიც თვითონ არასოდეს ყოფილა ციხე გაყინულ სახლში უშუქოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი.

ეს ელემენტარული პრობლემები ხომ ადვილად მოგვარდებოდა, რომ ქვეყანას ნამდვილი პატრიოტები მართავდნენ, მაგრამ დღევანდელი სელისუფლებას რაც ამოძრავებს, ნათელია. მათ შემეყურეს დიდი გაუ-ფშაველს სიტყვები მასხენდება:

გულზე მჭირს სამი აიარა - წარსულზე ფიქრი მაწუხებს, აწმყოში არა ყრია რა და მომავლის ფიქრებიც არაყენ ვამიზიარა.

მაგრამ სრული უნუგეზობა დემოკრატია ნუ ქნას. მეურა საქართველოს მომავლის, მაგრამ ისიც ვიცი, ამგვარი რამ თავისთავად არ მოედის, ბრძოლა საჭირო. ჭეშმარიტად პატრიოტ ადამიანთა ხმას გულზე გრძობს, გონებაც და მოუქდავად სანდაზმულობის, მეც მათ რიგებში მივსული.

ესაუბრა ნინო ნიბაჭაძე

ერთოდა. ამ უბედურებამ თემურ-ლენგის დროებასაც კი გადააჭარბა... მცენარე შაჰმა, რაც გასწყვიტა, გასწყვიტა და რაც არა, ათასობით და ათათასობით სპარსეთში გადაასახლა! ამით მოადგილედ ულუსები გადმოასახლა და გაღმა-გაშობლმა ალაზნის პირები დაიჭირა“ (აკ. წერეთელი, ბაშინაჟუკი, გვ. 27).

ცნობილია, თუ რაოდენ მძიმე გზა განვლეს ტყვე ქართველებმა, სანამ გადასახლების ადგილებს ჩააღწევდნენ. მათი საგრძნობი ნაწილი ადიდებულ მდინარე არაქსზე გადასვლისას დაიღუპა, ხოლო მრავალი გამოე-

სამშობლოდან შორს, სამშობლოზე ფიქრით

სალმა სიცოცხლეს მგზავრობის პირობებში - მათრახისა და მცხუნვარე შვის ქვეშ.

ვლ. ტატიშვილის სამართლიანი სიტყვებით: „ხალხთა ძალადობით გადასახლების ისტორიაში, შესაძლოა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ტრაგიკული გადასახლება“ (ვლ. ტატიშვილი,

ფრეიდელ ქართველთა ადმინისტრაციულ კერად იქცა. დღეს იგი ქალაქს წარმოადგენს და მას სპარსული „ნათლები“ ფერადიუნშაპ ისე ეწოდა. ფერეიდანის ქალაქს უწოდებენ.

შაჰ-აბასის სისხლიანი პოლიტიკის მიმდევრები ბევრს უცადენ სამშობლოს მცერდიდან აგლეჯილი ქართველებისათვის შორეულ და უცხო ფერეიდანში დაევიწყებინათ ყოველივე მშობლიური, ჩაეკლათ მათ გულში ყოველივე ქართული, მაგრამ ამაოდ. 388-მა წელს განვლო ამ სამშუხარო და სავალალო მოვლენიდან, მაგრამ ფერეიდნელი ქართველები თავიანთ სამშობლოდ კვლავ საქართველოს თვლიან და ისევ მშობლიური ქართულით ლაპარაკობენ. მათი ყველაზე საწუკარი ოცნება იყო, არის და იქნება დედა-სამშობლოში, დედა-საქართველოში დაბრუნება.

და რა გასაკვირია, რომ სამშობლოდან გადასახლების 38 წლის შემდეგ 1654 წლის აპრილში 16-მა ქართველმა, მეტწილად ზემო მარტყოფელებმა, სიცოცხლის ფასად სცადა ტყვეობის ბორკილებიდან დახსნა და საყვარელ დედა-საქართველოში ჩამოსვლა.

16 ამხედრებული ქართველი თავანწირვით მოილტვოდა სამშობლოსაკენ. მაგრამ დედა-სამშობლოსაკენ მომსწრავ ქართველებს რიცხვმრავალი სპარსელი ნაშოინენენ ყუმის უდაბნოსთან. გაჩაღდა შეუშოვარი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უთანასწორო ბრძოლაში უკლებლივ ყველა ქართველი მტერს შეაკვდა. უცხო მიწამ მიიბარა სამშობლოს ნახვას მონყურებული ქართველი მხედრები. ნაღველს ნაღველი მიემატა.

ახალმა უბედურებამ თავზარი დასცა ფერეიდნის ქართველობას. ფერეიდნელმა ქართველებმა ზემო მარტყოფში ძეგლი აუგეს დალუპულ თანამეგობრელებს. უზარმაზარი ქვის ლოდზე ამოკვეთეს შემდეგი წარწერა:

„1654 წელსა 17 აპრილისს თვესა ფერეიდნიდან მომავალი ქართველები სამშობლოსაკენ, 165 ქართველი, შუღლი გაგუნით ირანელებს. ყველა დავიღუპეთ. შენდობა



ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 109).

გადარჩენილი ქართველები ირანში (ძირითადად ფერეიდანში და მანანდარანში) დასახლდნენ. მათ ფერეიდანში დააარსეს სოფლები, რომელთაც უწოდეს თავიანთი შობლიური სოფლების სახელები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ნინოშინდა, ავჭალა, ჩუღურეთი, ბოლნისი, ვაშლივანი, რუისპირი და ა.შ. ამათგან ზემო მარტყოფი შემდგომში

„გვარს პირ აგვიჩვენა...“

რა გაუსადილო პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება, იმდენ მიღწევას, მოწვევას, დაფინანსებულ სასესიო ცენტრს, დასაქმებული ადამიანის დანახვა მივიღოთ...



ქონტრასტაში

მიმპრობენ მშიერ-მჭურვალნი, ლუკმა-პურს ეძებენ, სასოწარკვეთილი შეგვას იხსოვენ

ამას წინათ ქუჩაში ერთი ქალბატონი გავიცანი, ხელჩანთებს ყოფდა, მაგრამ იმდენად დარბაისური და ღირსეული იერი ჰქონდა, ვეჭვობოდა ამ პირობისა...

ქალბატონთან გასაუბრების მიზნით მას გერ ხელჩანთის ფასი ვკითხვე, მერე - ვინაობაც, - სოხუმდანი ვარ, - მიპასუხა, - იქ სკოლის დირექტორად მუშაობდი...

დაუფლებლობით? - ღმერთმა დაიფიქროს, ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამივიდა, ჩემი საქმე სკოლა და ბავშვებია...

აქებულს, აღარც კი მინდა სხვა რაიმე გეითხთ, მაგრამ მანც, როგორც ყოფილი პედაგოგი დღევანდელი სწავლა-განათლების სისტემაზე რას გვეტყვიან?

ვალ სრულფასოვან მოქალაქეს ჰკარგავს მათი სახით საქართველო. კიდევ ბევრი ვილაპარაკებ მტკიცებულ „კითხვებზე“...

„დენს მიხსნ რომოჩ პალაპანე?“

პატივცემულო რედაქციო! გახუტულ „ქაჯის“ მუდმივი მკითხველი ვარ და ამან გამაბნევინა თქვენი შეწყობა, თუმცა პრობლემებით...

როგორ არ დამბავდა მათი კითხვა: თუკი ელექტროტრონიკა მართლაც არ არის, როგორადა ხდება მისი მოწოდება გადასახადის ამკრებების გამოჩენის წინ?

მაგალი მანქანებით დამფრთხალი შუა გზაზე გავჩერებულიყო და მძღოლის ცერილითა და სიგნალებით...



ქონტრასტაში

„სახალხო რევოლუციის“ მონაპოვრებს იძიკან, განცხრობით ცხოვრობენ, დღესასწაულებს, მელიღურად იღხენენ

ქ. ნიჰარაბი

ვაგრძელებ რადიოდაცემის „ფაქტი +“ მიმობლავს, ვინიდან უპასუხოდა არ უნდა დარჩეს არცერთი მცდარი აზრი...

ჩემი შექმნილი ხომ არ არის, განსხვავებული უარესი არ არის ვინაობა. ვეთანხმები, მაგრამ ვგახარებ და მინდევული ფსიქოლოგები, იურისტები, ფილოლოგები...

მწყემსი ფარას უკლის

ვიდა აბსურდულ პაპოჩენამდე - ეს აღმარებლობა ძალზე მოძველებულია, იგი უნდა მოგვრის თანამედროვეობას, დღევანდელ ცხოვრებას და არა პირითი...

„ანყო შობილი ნარსულსაგან, არის მშობელი მომავლისა“. მაგრამ, ვაგლას, რომ უხეშობა და უფროვნიბო რენეგატები არად დაგიდევნენ ქართლის უკეთეს შვილთა ლაღისს...

ასე, როცა ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, იქ უკეთესობა ენთება მწვანე შუქი. დ. შონავას საყვარელი საკამათო თემაა საქართველოში ეგრერიგად ფეხმოკიდებული უმცირესობის დევნა...

„ასავალ-დასავალი“ კითხვარების კორესპონდენტი და მისი რესპონდენტები

ნოსტან ღარჯანია

ბოლო წლები გაზეთ „ასავალ-დასავალი“ თითქმის ყველა ნომერში ფართო ადგილი ეთმობა სხვადასხვაგვარ რუბრიკებს-საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონი ზვიად გამსახურდიას შესახებ რუბრიკას უძღვება ზვიად გამსახურდიასადმი „სიყვარულით დაფრულილი“ პოეტი ქალბატონი ბელა შალვაშვილი, რომელიც დიდი ძალისხმევით ცდილობს განეთიასთვის სასურველი აზრი შექმნას საზოგადოებაში. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ კი ვის, ან რას ემსახურება, მკითხველისათვის ძნელი გასაგები აღარაა. როგორც იქნა გაზეთში ორი რუბრიკა „კენ მოკლა ზვიად გამსახურდიას“ და იმავე გვერდზე, პარალელურად, მის გვერდით მოთავსებული „კენ დახვდა დღეად შევარდნაქს“, „მოძველდა“, მაგრამ მიმართულება გაზეთის არ შეუცვლია და აი, მის ფურცლებზე გაჩნდა ახალი რუბრიკა - „სამი შეკითხვა“.

ბოლო კითხვარის მსგავსად წინა ორი კითხვარიც არაფრისმეტყველი გახლდათ, რადგანაც ყველასათვის ცნობილია, ვინ მოკლა პრეზიდენტი და თუნდაც, ვინ დახვდა აეროპორტში შევარდნაქს და ნაწილი თუ არა ამის გამო ისინი, რა დიდად საინტერესო უნდა იყოს დღეს, მაგრამ გაზეთის მიზანი ისაა, ვერ ერთი, მიიზიდოს გაულუბრყვილო, სენსაციების მოყვარული მკითხველი და შემდეგ კიდევ უფრო გააფრთხილოს ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული მკვლელობა. რა რიგ ფარისევლებია დღეს ასეთი კითხვის დასმა... რესპონდენტთა უდიდესი უპრავლელობა ამ ტრაგედიის თანამონაწილე თუ არა, ხელისშემწყობი ხომ მაინც იყო და ლომის წილი თითოეულ ჩვენგანსაც ხომ მიუძღვის ჩვენი უპრინციპობით, სიმხდალითა თუ იმ დიდი დუმილით, რაც მაშინ ავის-მომასწავლებლად სუფევდა საქართველოში.

ან. №40 „ასავალ-დასავალი“ ჩემი ყურადღება მიიპყრო პოეტი ქალბატონის საავტორო რუბრიკის „სამი შეკითხვა“ რესპონდენტთა პასუხებმა.

კითხვა პირველი: „დასახელებული პირი, ვისაც გაასამართლებდით საქართველოში სამოქალაქო ომის დანაშაულის ბრალდებით“. კითხვაშივეა ის მარცვარი ჩადებული, რაც „ასავალ-დასავალს“ აწყობს - „სამოქალაქო ომი“. პოეტი ქალბატონის დირიჟორივით მოქმედებს აზრს - „სამოქალაქო ომი“, სიტყვა-სიტყვით იმეორებს საქართველოს ერთგულ ძალთა გაერთიანების საბჭოს წევრი, ქ-ნი ლია ანდლულაძე: „ადამი-

ანები, რომელთაც საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, ყველა ქართველისათვის ცნობილია. ესენი არიან: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და მათთან მჭიმასნილი ენ. ინტელიგენცია“. თითქმის ასეთივე პასუხს იძლევიან ზურაბ გაგინძე, გრიგოლ ონიანი და ნუგზარ ჯუღელი, თენგიზ ეპიტაშვილი, სამხედრო გენერალი კი თავის პასუხში აკეთებს შენიშვნას - „ეს ომი კი არ იყო, ეს იყო სამხედრო გადატრიალება“. სხვათა ჩამოთვლილ სამ პიროვნებას ამბავებს ვაჟა ადამიას და ამბობს: - მათ შეუერთდათ ზვიადზე განწყობილი ინტელიგენტები (და არა ინტელიგენცია. დ.მ.). თ. ეპიტაშვილი ხომ ყველა იმ მოვლენების თვითმხილველი და სამწუხაროდ, თანამონაწილე გახლდათ, მაგრამ დღეს იგი კაცურად ამბობს სიმართლეს, რომელსაც ბელა შალვაშვილი „ვერ ითვალისწინებს“ და, რედაქტორის დავალებას ბოლომდე ასრულებს.

საქართველოში მოხდა „სამოქალაქო ომი“ - ამ ფრაზას დღეს ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანი თუ იტყვის, ან ისტორიის შეგნებულად გამაყლებელი „მეისტორიე“. ლია ანდლულაძე კი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ და არ ეკადრება ამგვარი გაყალბება, თანაც საინტერესოა, სამ პირს რამდენი ასეთი ინტელიგენტი მოუმატა ქალბატონმა ლიამ, მოქალაქეთა დიდი არმია რომ მიიღო? მისი ნათქვამიდან გამომდინარე, სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალება კი არ მოხდარა, სადაც შევარდნაქსისა და კრემლის გეგმებით საბჭოთა ჯარის რუსული სამხედრო ნაწილები იბრძოდნენ საქართველოში, არამედ თურმე გამსახურდიას სამხეობრმა, პლუს ენ. ინტელიგენციამ, ე.ი. მოსახლეობის მცირე ნაწილმა (13%) მოახდინა სამოქალაქო ომი. ქ-ნი ლიას უნდა შეეახსენოთ 1992 წლის 13 მარტს ქ. გროზნოში ჩატარებული საქართველოს რუსუბელიკის უზენაესი საბჭოს სესია, სადაც ხუნტის მიერ კანონიერი ხელისუფლების სისხლიან უზურპაციას შეუასება მიეცა - „სახელმწიფო გადატრიალება“.

კითხვა მეორე: „რა ბედი ელის ზვიად გამსახურდიას სახელს, ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კარიერას“. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია. მხოლოდ ერთს დავსძენ: პოეტი ქალი, რომელიც ზვიად გამსახურდიას პატივსაცემად ლექსებს უძღვინდა, დღეს მისი სახელის გვერ-

დით მოისვენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ზვიად გამსახურდიას ხალხისა და ქვეყნისათვის მოემორებინათ და შემდგომ თავიანთი ბინძური ზრახვებით დღევანდელბამდე მიეყვანათ საქართველო.

და ბოლოს **მესამე კითხვა:** „დასახელებული სამი მინისტრი, რომელთაც დაუყოვნებლივ დაიჭერდით“. ასეთი კითხვა თუ შეიძლება დაფუძვით ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელსაც საკანონმდებლო, ან რომელიმე ძალის სტრუქტურასთან არანაირი ურთიერთობა არ აკავშირებს, თანაც ამ შეკითხვას არც პოლიტიკური და არც საზოგადოებრივი დატვირთვა არა აქვს, თითქმის თითოდას გამონივრილი კითხვაა, მაგრამ „საქმისათვის“ მაინც საჭირო. ქვეყანაში, სადაც ზღვარგადასული კორუფცია გაჩაღებულია, ქოსმა და განუკითხაობამ წააღვია მოსახლეობის ელემენტალური უფლებები და ქვეყნის მომავალი ყოფნა-არყოფნის სასწორზეა. დანაშაული დაყვანილი სამ პიროვნებაზე და რატომღაც, მიზანში მინისტრები არიან ამოღებული. საერთოდ სამივე შეკითხვა ისეა დასმული, თითქმის დღევანდელი მკვლელობის გადასახედიდან სხვა უფრო საინტერესო და აქტუალური არაფერი ყოფილიყო.

ვაჟა დრო, გაზეთი უფრო „საინტერესო“ რუბრიკას შესთავაზებს მკითხველს და მის ყურადღებას და ინტერესს ამგვარი საკვებით დააკმაყოფილებს.

P.S. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ძალღონეს არ იშურებს, რათა თავის ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმოს სხვადასხვა ფორმისა თუ სტილის წერილების საქართველოს პირველი პრეზიდენტის და მამულიშვილის ბატონი ზვიად გამსახურდიას სახელს. იგი ხომ დღეს ქვეყნისათვის უკვე „სამიშ“ პოლიტიკურ ფიგურას აღარ წარმოადგენს. მაგრამ ასეთივე ძალისხმევით ებრძვის მის მუფლესა და თანამებრძოლს, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრავალი მაგიდის სპიკერსა და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ვინაიდან იგი ზვიად გამსახურდიას მიერ დანაშაული საქმის ერთადერთი და რადიკალური პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი საქართველოში, რომლის ბრძოლაც მიმართულია იქით, რათა საქართველომ როგორმე დაიბრუნოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა და ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოვიდეს ქვეყანა.

შევარდნაძის ჯიბის პარლამენტის მორიგი საპარსხვირო ფურცელი

4 დეკემბერს შევარდნაძის ჯიბის პარლამენტმა (უკანონო, დე ფაქტო „საკანონმდებლო“ ხელისუფლებამ) დაასრულა საქართველოს დაქვეა-გაყიდვაში დადანაშაულებული მინისტრების ხელახლა დამტკიცება...

დე ფაქტო ხელისუფლების წარმოადგენლებმა, როგორც ერთ-ერთი მათგანივე (დ. მალრადე) აცხადებდა, დაასრულეს მორიგი მდაბიური გარიგება... რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, შევარდნაძის ორი გუნდის - აღორძინების ალიანსისა და მოქალაქეების პრემიტიულ და ქუჩურ გარიგებას იქვე ამხელდნენ შევარდნაძის იდეებით გამოზრდილი და ამერიკის მიერ გაზულუქებული ვაიპოლიტიკოსები... ვერც ამ უკანასკნელთ შეძლეს სიმართლის ბოლომდე აღიარება: თუმცა სიტყვით ამხელენ შევარდნაძეს, საქმით მაინც „თეთრი მელას“ ველში რჩებიან და თავგამოდებით ცდილობენ საქართველოში არსებული ათწლიანი უკანონობის გაგრძელებას!


შევარდნაძის ჯიბის პარლამენტმა ხალხს კიდევ ერთი თვე მოპარა! კიდევ ერთი თვით გაიხანგრძლივებს თბილ სკამებზე ჯდომა და ხალხის ძარცვა! ...ეს ანტისახელმწიფოებრივი მმართველობა მანამდე გაგრძელდება, სანამ საქართველოში არ აღდგება კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა, სანამ დე ფაქტო პარლამენტში მოკალათებული საეჭვო წარსულის მქონე ინდივიდების, თუ პარტიების შესახებ ჩვენი საზოგადოება არ გაიგებს სიმართლეს...

შევარდნაძის ჯიბის პარლამენტმა მორიგი სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა; ყველამ კიდევ ერთხელ დაინახა: ამ პარლამენტში მყოფი ყველა ფრაქცია ერთმანეთთან ღია სოცშეჯიბრშია, თუ ვინ უკეთ ასიამოვნებს საერთო ბაბუს - ედუარდ საქართველოს დამანგრეველს - დალმაშენებელს...


იუბილის ნაცვად



„შევარდნაძის აზრით, ქვეყანაში ვითარება მართვადი და სტაბილურია“.



„შევარდნაძემ მთავრობას მაკიატი გაუქვია“.



საპარტეზლოზე „ზრუნვით“ გადაიღალა

„სხალი ჰერსია“, №20

<p>გაგონისაველი და მთავარი რედაქტორი</p> <p>ბარიელ ფუტყარაძე</p>	<p>აასუხისმგებელი რედაქტორი</p> <p>ლევა ხაჭაპურიძე</p>	<p>რედაქციის მისამართი: ქუთაისი, კუხარაბის 32 (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05 ელ. ფოსტა: kugi@posta.ge გაზეთის ელექტრონული მისამართი ინტერნეტში: http://www.opentext.ge/kugi</p>	<p>გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საპალაქო სასამართლოში №12/5/0-4818</p>	<p>რედაქციის მამოძღვრელი მასალაში ავტორებს არ უბრუნდებათ. გაგონისმგებელ წარმომადგენელში ფარულია მისი მისამართი სივსტრუქო აასუხის აგაგაჲ ავტორები.</p>
--	--	---	--	---